19/11/2020

საეკლესიო კალენდარი: 19 ნოემბერი



საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 19 ნოემბერს წმიდა პავლე აღმსარებელის, ღირსი ლუკა ტავრომენიელის, მოწამეების: ტეკუსას, ალექსანდრას, პოლაქტიას, კლავდიას, ევფროსინეს, ათანასიას და მატრონას ხსენების დღეს აღნიშნავს.

წმიდა პავლე აღმსარებელი – კონსტანტინოპოლელი პატრიარქი

წმიდა პავლე, კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინოპოლის ეკლესიის საჭეთმპყრობლად აირჩიეს პატრიარქ ალექსანდრეს (+340) გარდაცვალების შემდეგ, როცა კვლავ იფეთქა არიანელთა ერესმა. კრებას, რომელსაც ახალი პატრიარქი უნდა აერჩია, მრავალი არიანელი ესწრებოდა. ისინი მღვდელმთავარ პავლეს კანდიდატურის წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ ხმების უმრავლესობა მართლმადიდებლებმა მოიპოვეს. იმპერატორი კონსტანციუსი (337-361), რომელიც რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს განაგებდა, არიანელი იყო. პატრიარქის არჩევნების დროს იგი კონსტანტინოპოლში არ იმყოფებოდა. როცა ჩავიდა, მან მოიწვია ახალი კრება, რომელმაც მღვდელმთავარი პავლე ხარისხაყრილად გამოაცხადა. უფლის რჩეული დედაქალაქიდან განდევნეს, მის

ნაცვლად კი არიანელი ევსები ნიკომიდიელი აღასაყდრეს. პატრიარქმა პავლემ რომს მიაშურა, სადაც თავშესაფარი ჰპოვეს ევსების მიერ განდევნილმა სხვა მართლმადიდებელმა ეპისკოპოსებმაც.

ევსები დიდხანს არ დარჩენილა საპატრიარქო ტახტზე. მისი გარდაცვალების შემდეგ მღვდელმთავარი პავლე კონსტანტინოპოლში დაბრუნდა. სამწყსო სიყვარულით შეეგება ნეტარს, მაგრამ კონსტანციუსის დევნამ იგი აიძულა, კვლავ რომს დაბრუნებოდა.

იმპერატორმა კონსტანტმა (337-350) თავის აღმოსავლელ თანამმართველ კონსტანციუსს წერილით მიმართა, დევნილი მღვდელმთავარი კათედრაზე დაებრუნებინა. წმიდა პავლე საპატრიარქო საყდარში დააბრუნეს, მაგრამ მალე, სამეფო კარზე მომხდარი გადატრიალების დროს, მართლმადიდებელთა ქომაგი კეთილმსახური იმპერატორი კონსტანტი მოღალატურად მოკლეს. ამის შემდეგ მღვდელმთავარი პავლე კვლავ განდევნეს დედაქალაქიდან და სომხეთის ქალაქ კუკუზოში გადასახლეს, სადაც იგი მოწამეობრივად აღესრულა: როცა პატრიარქი საღვთო ლიტურგიას აღასრულებდა, არიანელები ტაძარში შეიჭრნენ და წმიდანი ომოფორით მოახრჩვეს. ეს მოხდა 350 წელს. 381 წელს წმიდა იმპერატორმა თეოდოსი დიდმა (379-395) ნეტარი აღმსარებლის უხრწნელი ნაწილები პატივით გადააბრძანა კონსტანტინოპოლში. 1326 წელს სიწმიდე ვენეციაში გადაასვენეს.

ღირსი ლუკა ტავრომენიელი

ღირსი ლუკა ტავრომენიელი სიცილიის ქალაქ ტავრომენიიდან იყო. მან სიყმაწვილეშივე დატოვა მშობლები, საცოლე და უდაბნოს მიაშურა, სადაც მრავალი წელი დაჰყო მარხვითა და ლოცვით. ნეტარი ეტნის მთაზე მოსაგრეობდა, სადაც სიცოცხლის მიწურულს ზეგარდამო გამოცხადებით მონასტერი დააარსა. სხვა სავანეთა წეს-განგებების გასაცნობად უფლის რჩეულმა მრავალი ქალაქი შემოიარა. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს, ქალაქ კორინთოში მან მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს (IX ს-ის დასაწყისი).

მოწამენი: ტეკუსა, ალექსანდრა, პოლაქტია, კლავდია, ევფროსინე, ათანასია და მატრონა

ტეკუსა, ალექსანდრა, პოლაქტია, კლავდია, ევფროსინე, ათანასია და მატრონა 303 წელს, იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305) მიერ ქრისტიანთა დევნისას ეწამნენ გალატიის ქალაქ ანკვირიაში.

მასალა მომზადებულია ღია წყაროებზე დაყრდნობით.

— sputnik-georgia.com